



სააპელაციო საბჭოს
გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 2 21 0001005297



30/09/2021

"შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის №726549 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის (№780548, 09/08/2021), სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის №726549 გადაწყვეტილებისა და სხდომის №726083 ოქმის, სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის პირველი პუნქტისა და 28⁷ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,


საბჭომ გადაწყვიტა:

1. გაზიარებულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის №726549 გადაწყვეტილება "შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ".
2. სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 30 სექტემბრის №1005129 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
სხდომის მდივანი
ფარცვანია კახაბერ

